ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 10 დეკემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 10 დეკემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 282 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 282

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1905 წელს

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

„ივერია“

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანაც შეიძლება.

წელიწადი ოცდა მეცხრე

გამოვა იმავე სივრცითა და იმავე სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველის ღონის-ძიებით ეცდება თავისი მძიმე მოვალეობა პირ ნათლად შეასრულოს და ისე გაუძღვეს თავის საქმეს, როგორც შეეფერება დღევანდელის ცხოვრების ყოვლად საგულისხმიერო ვითარებას.

ჩვენი ძველნი და ახალნი თანამშრომელნი კვლავ დაგვპირდნენ დახმარებასა.

ვინც პირველ მარტამდე შემოიტანს სრულს ფასს, თუნდ ნაწილ-ნაწილადაც, პრემიად მიეცემა

გრაფი ტოტლებენი საქართველოში

ისტორიული მონოგრაფია ა. ფრონელისა,
მთიულეთის აჯანყებისა.

წიგნი საკმაოდ ვრცელი იქმნება, დაახლოვებით **400** კაბადონამდე.

წიგნში დაწვრილებით იქმნება აღწერილი საქართველოს მდგომარეობა ერეკლე მეფის დროს. წიგნი ცალკე არ გაიყიდება.

სოფლის მასწავლებელთა და სოფლის სამღვდელოებას, უფასო და მცირე ფასიან სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებსა, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა, სოფლის კანცელარიებსა და მცირე-ჯამაგირიან მოხელეთ

◆ დაეთმობათ „ივერია“ უპრემიოდ ◆

5 მან. ტფილისში და **7** მან. ტფილისს გარეშე.

ამ შეღავათიან ხელის-მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული.

რედაქცია და კანტორა ყოველ-დღე ღიაა, დილის 9 საათიდგან 3 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8-მდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 9—10 საათამდე და საღამოს 3—4-მდე.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (კ. ალექსი-მესხიშვილის სახლი, კალოუბნის ეკკლესიის გვერდით) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილისა და წერეთლის წიგნის მაღაზიებში.

სიღნაღში:—მიხეილ ნასიძესთან.

თელავში:—ილია ზარაფიშვილთან.

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

ახალციხეში:—ხაზინის ბუხგალტერ ღვთისავრიშვილთან.

ცხინვალში:—ნიკო კასრაძესთან.

ბათუმსა, ბაქოსა, ფოთსა, სოხუმსა, ოზურგეთსა, ხონსა, სამტრედიასა, და სურამში აგენტების სახელები ცალკე იქმნება გამოცხადებული.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს **4** მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ნახევარი წლით **2** მან. **50** კ. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

(3—შ—1)

ჟურნალ „ჯეჯილის“ პრემია

ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი

იბეჭდება და ამ ცოტა ხანში დაურიგდება «ჯეჯილის» 1904 წლის ხელის მომწერლებს.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 10 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქნება

I

M-lle **ფიფი**

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა მ. კიუისა.

II

პაიაცები

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

III

ბორის გოდუნოვი

მეორე მოქმედ., მუსიკა მუსორგსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნიკიტსკაია, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ნისაჩინსკი, კომაროვი, ობრაზცოვი, პოლუიანოვი, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცეჩიჩ.

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი. ნ. მიკლაშევსკი.

ფასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 11 დეკემბერს,

მე-8 «გალა» წარმოდგენა

გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

დემონი

ოპერა **3** მოქმედ., მუსიკა რუბინშტეინისა.

კვირას, 12 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქმნება

მაზეპა

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, მ. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელდერი.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

პორტ-არტური. გაზეთ «ნ. ფ. პრ.»-ს ვაშინგტონიდგან ატყობინებენ: ამერიკის ოფიციალური წრეები პორტ-არტურის ესკადრის დაღუპვას უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ. ამერიკელები ჰფიქრობენ, რომ ეხლა იაპონელებს პორტ-არტურის იერიშით აღება აღარ ესაჭიროებათ, რადგან პორტ-არტური, ადრე თუ გვიან, თვითონ დანებდება. ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა პორტ-არტურის ნავსადგურით ველარ ისარგებლებს. ამ ესკადრამ პორტ-არტურამდე მისვლაც რომ მოახერხოს, შიგ, სულ ერთია, ვერ შევა, რადგან შესავალი და თვით ნავთსადგური იმდენადაა გაჭედილი გემების ნამტვრევებითა და ნაღმებით, რომ შიგ შესვლას ვერც ერთი ფრთხილი და გონიერი ადმირალი ვერ გაბედავსო. მაგრამ ესკადრამ პორტ-არტურის ნავთ-სადგურში შესვლაც რომ მოახერხოს, უფრო უარესი დაემართება, რადგან 203 მეტრიან გორიდგან იაპონელთა ზარბაზნები ამ ესკადრასაც იმავ დღეს დააყენებენ, რაც პორტ-არტურის ესკადრას დააყენეს. ამიტომ იაპონელებს ძალიან გულით უნდათ როჟესტვენსკის ესკადრა პორტ-არტურის ნავთსადგურში დაინახონ. (ზ. ი.).

—

„ნიუ-იორკ გერ.“-ს ლონდონიდგან ატყობინებენ: **203** მეტრიანისა და აკოზაკის გორებიდგან იაპონელები განუწყვეტლივ ესვრიან ზარბაზნებს ნავთსადგურის ყოველ კუთხეს, სადაც, იმედი აქვთ, რუსების რომელიმე გემი მიიმალებოდა. ნაღმიანი გემები საავადმყოფო გემებთან დგანან. იაპონიის საზღვაო არტილერიის უფროსმა პორტ-არტურის ციხის უფროსს შეატყობინა, ნაღმოსან გემებს საავადმყოფო გემების უკან დამალვა არ შეჰფერითო. (ზ. ი.).

—

«ვ. ალგ. ს.»-ს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ: პორტ-არტურის ესკადრის უფროსმა ბრძანება მიიღო, გემები ააფეთქეო. (ზ. ი.)

—

პორტ-არტურის ესკადრის ფასი. ეხლანდელი გემი, სწერს გაზეთი «ნ. ფრ. პრ.»—თავის რთულ მომართულებით, ძვირფას მანქანებით, ზარბაზნებითა და სამხედრო მოწყობილობით, აუარებელი ფული ღირს. პორტ-არტურის ესკადრა თავის ტრანსპორტებით რუსეთს, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 200 მილიონი ფრანკი დაუჯდა. (ზ. ი.).

—

203 მეტრიანი გორა. «ნაც. ცაიტ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ჰკითხულობს, რას მიაღწიეს იაპონელებმა იმ 203 მეტრიან გორის აღებით, რომელსაც იმოდენა ხალხი შეახოცესო. ამ გორას უდიდესი მნიშვნელობა აქვს,—ამბობს ზემოხსენებულ გაზეთის მიმომხილველი.—ეს იქიდგან სჩანს, რომ რუსებმა მრავალჯერ სცადეს ამ გორის უკანვე დაბრუნება. იაპონელები გორაზედ გამაგრდნენ, მაგრამ საკვირველია, ასე მალე როგორ აიტანეს მიუვალ გორაზედ ის საალყე ზარბაზნები, რომლებმაც პორტ-არტური ყუმბარებით აავსეს. ზემოხსენებული პოზიცია ძალიან იყო გამაგრებული. იაპონელებმა ეს პოზიცია იმ აზრით კი არ აიღეს, რომ იქიდგან ახლო-მახლო პოზიციებიც აეღოთ, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ნავთსადგურში მდგომი ფლოტი გაენადგურებინათ და აკი გაანადგურეს კიდევაც. ამაზედ უფრო საგულისხმოა შემდეგი მოსაზრება: რამდენად გამოიყენეს იაპონელებმა **203** მეტრიანი გორა მის მახლობლად მდებარე პოზიციების ასაღებად და შეუძლიანთ თუ არა იაპონელებს გაუმაგრდნენ რუსების ყუმბარებს, რომლებსაც რუსები სხვა პოზიციებიდგან დაუშენენ **203** მეტრიან გორას. (პ. ვ.).

—

როგორც სტესსელის დეპეშებიდგან სჩანს, იაპონელები არა თუ გაუმაგრდნენ რუსების ყუმბარებს, არამედ 23 ნოემბერს თვითონვე მიიტანეს იერიში «ვისოკაია», «დლინნაია» და «კრასნაია»-ს გორებზედ და აიღეს კიდეც.

—

იაპონია, გერმანია და საფრანგეთი. «ფრანკ. ცეიტ.»-ს ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ: იაპონია აქამდის გულგრილად უყურებდა გერმანიასა და საფრანგეთს, რომელნიც ევროპის ზღვებში რუსეთს ყოველნაირად ეხმარებოდნენ, მაგრამ თუ იგივე სახელმწიფოები რუსეთს აზიის ზღვებშიაც ძველებურად დაეხმარნენ, იაპონია ამას ვერ მოითმენს. იაპონური გაზეთები ამბობენ: მას შემდეგ, რაც იაპონელებმა პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურეს, ტოგოს ესკადრას თავისუფლად შეუძლიან იაპონიის მტრები ყველგან მონახოსო. ამიტომ თუ რუსეთის მეორე ესკადრა აზიაში ან გერმანიისა, ან საფრანგეთის ნავთ-სადგურში შევა, იაპონიის ესკადრა რუსეთის ფლოტს თავს დაეცემა, თუნდ იგი იარაღ აყრილიც იყოს. თუ ამან იაპონიასა და საფრანგეთს შორის ომი გამოიწვია, იაპონია პირობის ძალით ინგლისს დაიხმარებსო. (ნოვ.).

—

იაპონურ გაზეთების აზრი ომის შესახებ. იაპონურ გაზეთ «ტაიაო»-ში ტოკიოს მერი ოკაზი-იუკიო სწერს: ეჭვს გარეშეა, რომ იაპონია ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსეთი პირველი არ მოითხოვს ზავის ჩამოგდებას და ამ რიგად იაპონიას კიდევ დიდხანს მოუხდება მანჯურიაში ჯარის ყოლაო. ამ შემთხვევაში, სწერს იუკიო,—იაპონიის ჯარმა რუსეთის ჯარს ციმბირის მინდვრებამდე კი არ უნდა სდიოს, რადგან ეს, ცოტა არ იყოს, საშიშოა, არამედ პორტ-არტური, მუკდენი და ვლადივოსტოკი აიღოს, რუსები მანჯურიის ჩრდილოეთ-დასავლეთად გარეკოს და თითონ მდინარე იალუს დასაწყისსა და თეთრ მთებ შუა გამაგრდეს. იაპონიამ 250,000 ჯარის კაცს უნდა მოუყაროს თავი. ამ ჯარის შენახვა იმდენივე დაჯდება, რამდენიც იაპონიაში დაჯდებოდა. რუსეთმა გამაგრებულ იაპონელთა წინააღმდეგ რამდენიც უნდა, იმდენი ჯარი გამოიყვანოს, იაპონელებს რუსეთის ჯარი, სულ ერთია ვეღარაფერს ვერ დააკლებს და ბოლოს ძალაუნებურად ბაიკალისაკენ დაიხევს. (პ. ვ.).

—

გენერალი ტერაუჩი და გენერალი კუროპატკინი. «რეიტერის» კორესპონდენტი ტოკიოდან საინტერესო ცნობას იძლევა გენერალ კუროპატკინისა და იაპონიის სამხედრო მინისტრის, გენერალ ტერაუჩის შესახებ. თურმე გენერალ ტერაუჩი და რუსეთის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალი კუროპატკინი დიდი ხნის მეგობრები ყოფილან. ერთმანეთი 20 წლის წინად გაიცნეს პარიზში. ტერაუჩი მაშინ მაიორი იყო და პარიზში იაპონიის სამხედრო აგენტის თანამდებობას ასრულებდა, კუროპატკინი კი იმ დროს გენერალ მაიორი იყო და პარიზში ალლუმებზედ დასასწრებლად იყო ჩასული. გენერალი კუროპატკინი და მაიორი ტერაუჩი ერთმანეთს ოფიციალურად გაეცნენ, ერთმანეთი დააინტერესეს და ამ რიგად მათ შორის თან და თან მეგობრული ერთმანერთობა ჩამოვარდა. მერე ერთმანეთს დაშორდნენ და ხელმეორედ მხოლოდ შარშან შეხვდნენ ტოკიოში, სადაც გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი სამგზავროდ იყო წასული. ტერაუჩიმ კუროპატკინს ძველი და ძვირფასი იაპონური ხმალი აჩუქა. როცა კუროპატკინი რუსეთში დაბრუნდა, პეტერბურგში თავის მეგობრისთვის რუსული ხმალი შეუკვეთა. კუროპატკინის მიერ გაგზავნილი საჩუქარი, ოქროს ტარიანი ხმალი, გენერალმა ტერაუჩიმ ამ წლის იანვარში მიიღო. ერთის კვირის შემდეგ ადმირალმა ტოგომ პორტ-არტურის ესკადრაზე იერიში მიიტანა. თუმცა ეხლა ომის გამო რუსეთსა და იაპონიას შორის უძირო ხრამი არსებობს, მაგრამ იაპონიის სამხედრო მინისტრს გენერალი კუროპატკინი მაინც ძალიან უყვარს და, როგორც ძველ მეგობარს, დიდ პატივსა სცემს. (ზ. ვ.).

—

ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან. «რუს. სლოვო»-ს კორესპონდენტი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, რუს ჯარის კაცის შესახებ სწერს: «ამბობენ, რუს ჯარის კაცს ომი არ უყვარს და მიტომ ხშირად უგულოდ და ძალიან ცუდათ

იბრძვისო. კეთილი, მაგრამ საზოგადოთ რომელ ჯარის კაცს უნდა ომი? რუსი საზოგადოთ მშვიდობის მოყვარეა, იგი შოვინიზმით არ არის გამსჭვალული. ძნელია გლეხს, მიწის მუშას შოვინიზმი შთაუნერგოთ, მას არც უწინ უნდოდა ბრძოლა და, თუ მაინც იბრძოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საბრძოლველად მიჰყავდათ. ომის ლეგენდა მას არ უყვარს. რუსი იმდენად მამაცი და მძლავრია, რომ თავის ქონებას დაიცავს, სხვის ქონების წართმევაც კი არ უყვარს. «ციმბირის გზით მოვყვანდით, მეუბნებოდა ერთი ჯარის კაცი,—აქეთ-იქით ვიხედებოდი და ვხედავდი, რომ ჩვენ, რუსებს, აურაცხელი, უსაზღვრო მიწები გვაქვს, მაგრამ ეს მიწები უდაბნოდ არის ქცეული, რადგან ამოდენა ადგილზედ გუთანს ერთხელაც არ გაუვლია აი მაგალითად მანჯურია აიღეთ.

რა აქვს საშური? ყოველი ხელის გულის ოდენა მიწაც კი მოხნული და დათესილია. ვინ გვეპატიჟებოდა მანჯურიაში? რა გვინდოდა აქა! ამნაირად მარტო ერთი კაცი კი არა მსჯელობს, არამედ ათასები და მეტიც. აფიცრებზედ ხომ ლაპარაკიც არა ღირს. მათ სულ არ ესმით ეხლანდელ ომის აზრი და უკვირთ, რას ვაკეთებთ აქაო. ისინიც ბრძანების ძალით იბრძვიან, „კამანდი“-თ იხოცებიან, აუცილებელ ძალას ემორჩილებიან, ხოლო რაც შეეხება დაფიქრებასა და საკუთარი ჭკუით საგნის განხილვას, ამაზედ აფიცრები სუსტათ არიან (რ. ს.).

—

იმავ ნემიროვიჩ-დანჩენკოს შემდეგი სცენა მოჰყავს: «ინჟენრები ხიდს აკეთებენ. ირგვლივ ბრძოლაა... ჩვენ, რუსები, უკან ვიხევთ.

თქვენ კი ჩქარა გაათავეთ. ჰა, აჩქარდით! მობრუნდით! ხელი გაანძრიეთ! გაანძრიეთ! გაათავეთ რაღა!

იცით რაში ყოფილა საქმე? თურმე ნუ იტყვით, ინჟინრებმა დაუმთავრებელი ხიდი დასწვეს, დაპირებულ ფულს ვერ მიიღებდნენ, რადგან ხიდის გაკეთება არ დაამთავრეს. რუსეთში არსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმს— ამბობს წერილის ავტორი,—ზოგჯერ ამაზე უფრო უცნაურ კურიოზის შექმნა შეუძლიან (რუს. სლ.).

ახალი ამბავი

⁂ **დ. ერისთავის ბიოგრაფია.** ამას წინად ერთს კერძო ოჯახში, საცა მიწვეულნი იყვნენ ჩვენი მწერალნი და მოღვაწენი, ბ-ნმა იონა მიხეილის ძემ მეუნარგიამ წაიკითხა ბიოგრაფია დავით ერისთავისა, «სამშობლოს» დამწერისა. ბიოგრაფია უფრო მოგონებასა ჰგავს, საინტერესოდ არის შედგენილი და დიდის ხალისით იქმნა მოსმენილი. ეს ბიოგრაფია დაერთვის დ. ერისთავის თხზულებათა წიგნს, რომლის ბეჭდვაც უკვე გათავებულია და მხოლოდ ეს ბიოგრაფია-ღა აკლდა წინ-წასამძღვარებლად.

⁂ **გულითადი გაცილება.** ტფილისში ჩამოვიდა და უკვე შეუდგა თავის ახალ თანამდებობის აღსრულებას ახალციხეში მომრიგებელ-შუაკაცად ნამყოფი ბ-ნი ალ. ყიფშიძე. ახალციხის საზოგადოება დიდის ამბით გამოსთხოვებია თავის შეჩვეულ კაცს და გამოსათხოვარი სადილი გაუმართავს კლუბში. არა ერთი და ორი გამოსათხოვარი სადილი გაუმართავს კერძო ოჯახსაც და მიუწვევიათ მომრიგებელ-შუაკაცის თანამგრძნობელნი და პატივის-მცემელნი. ერთი ამისთანა სადილი ჰქონია გამართული, სხვათა შორის, მოხუცებულ ორბელიანსაც, იმ ორბელიანს, რომელიც იძულებული იყო თურმე აღდგომა დღეს თავის მღვდლისთვის «ქრისტე აღსდგა» მიელოცნა ქართულის მაგიერ თათრულს ენაზედ. საზოგადოებასვე მიურთმევია თავის მომრიგებელ-შუა-კაცისათვის არა ერთი და ორი ნივთი სახსოვრად და მოსაგონებლად. ბევრს აწყურამდე გამოუცილებია, საცა დაჰხვედრიათ ჩინებული ვახშამი, რომელიც იქაურ ქსენონის ახალგაზდა მკურნალს გაუმართავს. პატივის მცემელთა შორის ყველა გვარ ტომისანი ყოფილან: ქართველნი, რუსნი, სომეხნი. ქართველთა შორის მონაწილეობას იღებდნენ ამ საერთო გრძნობის გამოსახატავად ქართველნი —მართლ-მადიდებელნი, ქართველნი — კათოლიკენი და ქართველნი—მაჰმადიანნი— ავალიშვილნი და ფალავანდიშვილნი.

ბ-ნმა ალ. ყიფშიძემ გუშინ-წინ, 8 დეკემბერს ჩაიბარა თავის თანამდებობა. ვიცე-გუბერნატორმა ბ-ნმა ალიშევსკიმ გააცნო განყოფილების მოხელენი და უსურვა მხნედ და წარმატებით მუშაობა საგუბერნიო მმართველობის მოთათბირეს თანამდებობაზედ.

⁂ **ქალაქის მოღვაწეთა სადღესასწაულო სადილი.** მკითხველთ უთუოდ ეხსომებათ, რომ ამ სამის წლის წინად პასუხის გებაში მისცეს ტფ. ქალაქის მთელი გამგეობა, რომელიც სასამართლომ გაამართლა. ამ გარემოების აღსანიშნავად, ეს ორი წელიწადია, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნები და სხვა ქალაქის თვით მმართველობის გულ-შემატკივარნი პასუხის გებაში მიცემულთა გამართლების წლის თავზედ 12 დეკემბერს სადილს ჰმართავენ. წელსაც კვირას, 12 დეკემბერს, ვეტცელის სასტუმროს დარბაზში გამართული იქმნება სადღესასწაულო სადილი, რომელზედაც მიწვეულნი არიან ხმოსნები და თვითმართველობის სხვა გულ-შემატკივარნი.

⁂ **სამოსამართლო რეფორმათა** 40 წლის არსებობის გამო სამშაბათს, 7 დეკემბერს, სამოსამართლო დაწესებულებათა სადგომში კრება ჰქონდათ ტფ. ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთ, ნაფიც ვექილის ბ-ნ ჩემესოვის თავმჯდომარეობით.

⁂ **ტფილისის საბჭოს კრება.** დღეს 10 დეკემბერს, დანიშნულია ტფილისის საბჭოს სხდომა ქალაქის ახალის მოურავის ქრ. ა. ვერმიშევის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე უნდა განიხილონ მომავალის 1905 წ. ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა.

⁂ **ლექცია.** შაბათს, 11 დეკემბერს, ტფ. საზოგადო განათლების კურსებზედ ბ-ნი კ. ვ. ვერხოვსკი წაიკითხავს მესამე ლექციას «ომის უფლებათა შესახებ».

⁂ **ახალი დანიშნულება.** პეტერბურგიდან „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ტფილისის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ მაიორი რილსკი დაინიშნა კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსადაო.

⁂ კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნ. ნ. ბელიავსკი დაუნიშნავთ ლიბავის ციხის უფროსად.

⁂ **ახალი წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ახალი ქართული წიგნი «ორი ჯიბგირი», მელოდრამა 7 მოქ. და 7 სურ. პიერ დე-კურსელისა, თარგმ. ვასილ აბზიძისა და გამოც. ნიკო მირველოვისა, № 1.

⁂ **ჟურნალი «ნაკადული».** მოგვივიდა ჟურნალ «ნაკადულის» დეკემბრის ნომერი (მე III წიგნი) მცირე წლოვანთათვის. შინაარსი ამ წიგნისა: 1) წყარო; 2) დამეგობრდნენ; 3) კურდღელი; 4) ლოკოკინა და აბრეშუმის ჭია; 5) მელია და ქათამი; 6) მაიმუნის დღიური; 7) ნარევი და 8) სახალისო, გასართობი და სამუშაო.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი.

(დასასრული *)

შავი-ქვის ოპერაციებისათვის ზოგიერთ მსესხებელთ მიუციათ ბანკისთვის სოლო ვექსილები. ამის მიხედვით ბანკის საბჭოგამგეობა იმართლებენ რევიზორის წინაშე თავს და ამტკიცებენ, რომ შავი-ქვის ოპერაციებით ბანკს მოუვა ზარალი მხოლოდ 150 ათას მანეთამდეო. დანარჩენი ფული გადახდებათ მსესხებელთ სოლო ვექსილებითო. ამგვარ დასკვნას ბ-ნი რევიზორი ეძახის მეტად ოპტიმისტურს და ადგია ისევ თავის პირვანდელს აზრს, ე. ი. ზარალათ რაცხავს სულ ერთიანად 300 ათას მანეთს მარტო შავი-ქვის ოპერაციებში.

შემდეგ რევიზორი ეხება სხვა და სხვა დარგებს და ჩერდება დაბინავებულ ფულზე («ვკლადებზე»). სულ ყოფილა დაბინავებულ ფული 674,838 მანეთი, აქედან მიმდინარე ანგარიშზედ ყოფილა 151,153 მ., ვადიანი—515,326 მ. და უვადო—7,359 მ. ამ ბანკში ყოფილა უმთავრესად სხვილი „ვკლადები“, ე. ი. მთელი თანხის 92%. ბანკის წესდების ძალით. «ვკლადები» მიიღება მხოლოდ წევრთაგან, მაგრამ ბანკს გამგეობას ერთ შემთხვევაში დაერღვია კანონი და მიუღია ვკლადი არა წევრიდან, მაგ. „შავი-ქვის საზოგადოებისაგან“, მიმდინარე ანგარიშით 37,946 მანეთი. ვადიანი «ვკლადები» ნაწილდება ამ რიგათ: 1904 წელს უნდა გადიხადოს ბანკმა—155,304 მ., 1905 წელს—262,639 მანეთი და 1906 წელს —45,088 მანეთი, სულ—463,031 მ. ერთის სიტყვით, ბანკს ჰქონია მხოლოდ მოკლე ვადიანი «ვკლადები», რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და შეუძლია ცუდათ იმოქმედოს ბანკის მომავალზედ, რადგან მან დაჰკარგა საყოველთაო რწმენა. საჭიროა ბანკის განახლების დროს მიექცეს ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება. როგორც რევიზიის ანგარიშიდან ჩანს 1 იანვარს 1901 წელს ბანკს ჰქონებია 1,237,700 მანეთის „ვკლადი“, 1 იანვარს 1904 წელს—957,734 მანეთისა და ახლა კი მხოლოდ 677,847 მანეთისა. მარტო ამა წლის 1 იანვრიდან ივლისის დამლევამდე «ვკლადჩიკებს» გაუტანიათ ბანკიდან თითქმის 300,000 მანეთი და მასთან მიაქვთ თან და თან; შემომტანი კი არავინ არაა. ჩანს ბანკმა დაკარგა ნდობა და ეს კი ფრიად ცუდი ნიშანია. ყველამ ვიცით, რომ ნდობის დაკარგვა მეტად ადვილია, მაგრამ ნდობის მოპოვება კი ფრიად ძნელი. «ვკლადი» ამ გვარ ტიპის ბანკისათვის იგივეა, რაც ჰაერი ცხოველისათვის. უვკლადოთ ერთ თვესაც ვერ გასძლებს და სწორეთ ამ დროს ჩვენს ბანკს ეცლება ხელიდგან თავის მაცოცხლებელი სტიქიონი. იგი ვალდებულია გადიხადოს ამ ორ წელიწადში და დაუბრუნოს ვკლადჩიკებს ნახევარ მილიონამდე მანეთი, ე. ი. სხვა რიგათ რომ ვთქვათ, მან უნდა მოახდინოს წევრთა თითქმის ყველა ვექსილების რეალიზაცია, რაც დღეს—ამ ფინანსურ კრიზისის და ვაჭრობა-მრეწველობის დაცემის დროს—ყოვლად შეუძლებელია. ეს წესი გამოიწვევს დიდს უსიამოვნებას და მრავალ წევრთა და თვით ბანკის კოტრობას. ამას მიუმატეთ კიდევ ნახევარ მილიონზედ მეტი ზარალი, რომელიც მოხდა შავი ქვის ოპერაციებით და ვექსილთა ვადის გადაცილებით და თქვენ დაგეხატებათ არა სანუგეშო სურათი ჩვენის ბანკის და მის წევრთა მდგომარეობისა. აი რა დროს დაგვეცა თავზედ ეს რისხვა! აი რა ყოფაში ჩაგვყარეს 1600 კაცი ჩვენის ბანკის მეთაურ-ჰირისუფლებმა, ამ ქებულმა მოღვაწეებმა!.. ვინ არის დღეს, რომ მოუპოვოს ჩვენს ბანკს წინანდელი ნდობა?! რომელი გმირია, რომ დასტოვებს, ან შემოიტანს თავის ფულს?! ვის შეაჩერებ, ან დაარწმუნებ, რომ შენს «ვკლადს» ნუ გაიტანო?! ჩვენის აზრით, ეს სასწაული შეუძლია ჩაიდინოს მხოლოდ მთავრობამ. თუ მთავრობა დაეხმარება ჩვენს ბანკს, როგორც დაეხმარა ხარკოვის და ოდესის ბანკებს, თუ მთავრობა გაუხსნის ჩვენს ბანკს კრედიტს და გამოუცხადებს ნდობას, მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიკავონ თავი «ვკლადჩიკებმა» და მოემატოს ახლები. მაგრამ მთავრობა მოითხოვს კანტროლს, მთავრობას ეყოლება ბანკში თავისი წარმომადგენელი, ისე როგორც ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკშია... ერთის სიტყვით, ყველგან და ყველაფერში ვამტკიცებთ ჩვენს უსუსურობას, ვიკრავთ ხელ-ფეხს, სხვას უვარდებით ხელში და ვექვემდებარებით აპეკას. უაპეკოთ ვერაფერი გავიკეთებია. საიპოტეკო ბანკებში აპეკა, შავი-ქვის საბჭოში აპეკა, ახლა კიდევ საურთიერთო ნდობის ბანკში აპეკა... რას ამტკიცებს ყოველივე ეს, თუ არა ჩვენთა მოღვაწეთა და ინტელიგენტთა ერთის ჯგუფის სისუსტეს, უვარგისობას! დროა გავამეფოთ ყოველსავე საქმეში თამამი და პირუთვნელი კრიტიკა! დროა მოვხადოთ დაფნის გვირგვინი უღირს რაინდებს! დროა დავსდოთ ყველას მოქმედებებს სასტიკი მსჯავრი!..

შემდეგ ბ-ნი რევიზორი ეხება ბანკის ბუხგალტერიას და სამმართველოს ორგანოებს, არც ერთის მოქმედება არ მოსწონს და ჰხედავს მათ საქმეებში უწესრიგობას და წესდების დარღვევას. უკვირს და ვერ აუხსნია, თუ რათ ბრძანებულან ეს ორგანოები ასე ლმობიერნი მესხებელთა და თავიანთ თავის მიმართ. მაგ. საბჭოს ერთი წევრი არა წესიერი მსესხებელი გამომდგარა მარგანეცის ოპერაციებში, მეორეზედ კი ითვლება 27,000 მანეთი ვალი, რომლის სარგებელი გადასცილებია 10,000 მანეთსა და ეს კაცი დღესაც ბანკის სათავეშია და ხელმძღვანელობს მის საქმეებსაო. ამ გვარი უწესრიგობა, და კანონის დარღვევა გრძელდებოდა მიუხედავათ წესდების კატეგორიულ მხილებისა, ფინანსთა მინისტრის შენიშვნისა, საბჭოს დადგენილებისა და სარევიზიო კომისიის პროტესტისა. ყოველისავე ამას მოჰყვა ის შედეგი, რომ დღეს ბანკს მოელის თავის საქმეთა შეწყვეტის შიში. ამ ანგარიშში მოყვანილია მხოლოდ უმთავრესი შეცდომანი. ამიტომ მომავალ საგანგებო კრებაზედ სხვათა შორის უნდა იყოს განხილული ისიც, თუ რა მიზეზებმა დაბადა ბანკისთვის ამგვარი დაბრკოლებანი და ამის გამო ვინ მიეცეს პასუხის გებაშიო». ამ სიტყვებით ბ-ნი რევიზორი პირ და პირ გვითითებს პროკურორზედ და სასამართლოზედ. უფრო მკაცრად და ნათლათ თქმა აღარ შეიძლებოდა.

ბოლოს, ბ-ნი რევიზორი თხოულობს, რომ წევრების მიერ შევსებულ იქმნას მთელის ზარალის უმთავრესი ნაწილი, ე. ი. არა ნაკლებ 424 ათასის მანეთისა, ანუ 27% პასუხის საგებ თანხისა. და თუ საგანგებო კრება არ გადასწყვეტს, რომ შევსებულ იქმნას ზემოხსენებული თანხა, იმ შემთხვევაში უნდა დაადგინონ, რათა შეწყვეტილ იქმნას ბანკის საქმეები, გამგეობა კი ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს ქუთ. საურთი-ერთო ნდობის ბანკის გაკოტრებაო». აი რა მწვავე სიტყვებით ათავებს თავის ვრცელს ანგარიშს ბ-ნი რევიზორი.

როგორ მიეგებება საგანგებო კრება ამ ბრალდებითს ოქმს და რას დაადგენს იგი ბანკის მომავლის შესახებ, ამას დაგვანახვებს 19 დეკემბერი. ყოველსავე თავის დროზედ ვაუწყებთ «ივერიის» მკითხველთ.

სიმონ ქვარიანი.

---

*) იხ. «ივერია», № 281.

ფოთი და მუშათა მდგომარეობა

I

სწორედ უცნაური რამაა ეს სტეფენსონის მანქანა! სადაც წინათ დღეები და კვირეები იყო საჭირო, იქ ახლა საათები გჭირია; ზიხარ არხეინათ თვილ ვაგონში, ესაუბრები ნაცნობს, კითხულობ წიგნებს და გაზეთს, ან გძინავს შენთვის, არ გეშინია არც სიცხე-სიცივის, არც წვიმა-თოვლის, ამ დროს კი მიგასრიალებს საამო რხევით თუჯის მანქანა და მიგაფრენს, სადაც გსურს. მეც დიდი ხანია არ მენახა შავი ევქსინი, არ მესმინა მისი მწყრალი ბაასი; ჩავჯექ ვაგონში და ხუთის საათის შემდეგ ჩემს თვალებს გარდაეშალა მოხდენით ფოთი, ზღვა და ფართო რიონი.

საოცარი ცვლილებაა! ფოთი ათი წლის წინათ და ფოთი ახლა. ფოთი ციებ-ჭაობის და მილიარდ ბაყაყთა ყოფილი ბუნაგი, ფოთი აზიელი, წუმპე-ტალახიანი, უფულო და მივიწყებული, და ფოთი ახლა, საქონლით სავსე, პორტის მექონე, მრავალ გემთა საყუდელი, ფოთი ტკეცილი გზებით, ფოთი ელექტრონით გაშუქებული, ფოთი ევროპიული და მილიონების ჩამთქმელი...

ვინ ჩაიდინა ეს სასწაული? ვინ აღადგინა მკვდარი? ვინ ჩაუდგა ამ ქალაქს სული? ამ სასწაულის ჩამდენია ის კაცი, რომელიც უარჰყო ტფილისის ბურჟუაზიამ და რომელიც გარისხა ერთ დროს ქართველმა ინტელიგენციამ... ნიკოს საარაკო მხნეობამ მხოლოდ აქ მოიპოვა ნოყიერი საზრდო; მისმა მაღალმა ნიჭმა მხოლოდ აქ გაშალა ფრთა და გაინავარდა თავისუფლად. აქ შემშლელი და მოჩხიკინე არავინ ჰყავს; აქ ყველანი მორჩილობენ; აქ ყველას სწამს ქალაქის მოურავის ცოდნა, ნიჭი და ენერგია. სწორედ აქ შეადგინა ნიკომ დიდი გეგმა ფოთის განახლებისა; აქ შეუდგა პორტის კეთებას, ჭაობის დაშრობას და ხალხით დასახლებას. აქედან უწვდის ხელს და გამოაქვს ხაზინიდან მილიონები ფოთში დასახარჯად, ფოთის აღსადგენად, გამოაქვს ფული მისთანა დროსაც კი, როცა თვით მთავრობას მეტად ჭირდება. მაგრამ რაფრად და რა საშუალებით ახდენს ეს კაცი იმ სასწაულს,—ეს ჩვენთვის საიდუმლოა... ნამდვილი მხოლოდ ისაა, რომ მან გაუკეთა ფულს უხილავი ღარი ფოთისკენ და მოათქიშინებს პეტრეს ქალაქიდან ოქროს ნაკადული. მარტო ფოთით და პორტით არ თავდება ნიკოს სამოქმედო ასპარეზი. მისი სურვილია გაიყვანოს ფოთიდგან სადგურ სუფსამდე ელექტრონის ტრამვაი, გარდაქმნას პალიასტომი სამხედრო ფლოტის ბინათ, მეტადრე კი დააშროს უზარმაზარი ჭალადიდი და მით მოსპოს ციებცხელება მთელს სამეგრელოში.

ღამდება. მოწითლო გარიჟრაჟს ნელნელა ეპარება ბინდი. ვზივარ ხის ჩარდახში, რომელიც დამზერს ფართო მდინარეს; ახალი მთვარე მორცხვათ მოსჩანს ფერად ღრუბლებში; მისი ნაზი სხივები ცელქათ ციალებენ ლაპლაპა ზვირთებში და თითქო ეჯიბრებიან იქვე ხიდიდან ნასროლს ელექტრონის ბურთების შუქს. შორით მოჩანს თეთრი კანდელი თავის ფერად შუქით. ყოველივე ეს ჰბადებს რაღაც საოცნებო სურათს. დავცქერ ამ ბზინვარე სარკეს, ამ ლაღათ მოზილფარე რიონს; ჩემი ფიქრები უნებლიეთ მისდევენ მის ტალღებს, უერთდებიან მგრგვინავ ზღვას და ინთქებიან სადღაც შორს ცისიერში... ამავე დროს ცელქი ზეფირი მიგრილებს გულს სუბუქის ფრთებით და მგვრის ნეტარებას ვით სატრფოს ზენაარი ალერსი...

მიჰქრის დრო... ვზივარ და შევრტფი დიდებულ სურათს. ბუნებას თან და თან ეკვრის საიდუმლო ბინდი, რომელსაც ქსაქსავენ ღამის გუშაგის ნაზი ისრები. იქვე მცირე მოშორებით მისთვლემია ნიკოს ტყით დაბურულს კუნძულს; მას თითქო არწევენ და უნანავებენ მდინარის ზილფები. კვლავ შევტრფი ამ საოცნებო სურათს; იგი უნებლიეთ აღვიძებს ჩემს გულში ტკბილ-მწარე ფიქრებს, მიშლის თვალწინ ჩვენის ცხოვრების წარსულ ამბებს და მწარე სინამდვილეს... მდინარე მისრიალებს კოლხიდის ვარამით დატვირთული, უერთდება თავის მიჯნურს, გულ-ფართო ზღვას და ინთქება მის მწვავე ალერსში. ფარფატა ნიავი კი ამ დროს ჩუმათ ჰპარავს მათ ტრფობის ჰანგებს, იდუმალ ფუჩუნს და იმედებს ტურფა კოლხიდის უკეთეს მომავალზედ და ამ საამო არმადანით ესხურება ჩემს არსებას. მე თითქო გავდნი ბუნებაში და ჩემი გმინვარე სული გრძნობს წუთიერ სიმშვიდეს და ზენაარ ალმურს...

მიმოვიხედე... არ ჩანს სულიერი. მხოლოთ იქვე კოშკში ბჟუტავს სინათლე; მაგრამ რა ხდება ამ დროს შიგ: იხაზება დიადი გეგმა ფოთის მომავლისა, თუ იწერება საშიყო ბარათი ვინმე მომხიბლავ ფერიასთან, — ეს ჩემთვის საიდუმლოა... ბაღი და მიდამო ცარიელია და მხოლოთ ჯუჯუ-კალიას «ჭრუუ» და მდინარის ნელი შუვილი არღვევენ დუმილს. ნეტა სად არიან ამ პოეტურ საღამოს ფოთის ქალვაჟენი?! ნეტა სად გამქრალან, სად დამალულან ან რას აკეთებენ შინ? ვაჟები მოსხდომიან ცარცით ხელში მწვანე მაგიდას და გაიძახიან ვისტ! ფრაპ! იმგვარის რიხით, თითქო ადმირალი ტოგო აძლევდეს ბრძანებას თავის კამანდას იერიშის მისატანათ. ნუ თუ ბანქოს თამაშშია მთავარი ძარღვი კაცის ცხოვრებისა?! ნუ თუ ბანქოს თამაშში უნდა დაახშოს ახალგაზდობამ თავისი სიცოცხლე და სურვილები?!...

ნეტა რას შვრებიან ფოთის ქალები, ფოთის ტურფანი? ისინი მიმალულან თავიანთ კოშკებში, ან უკეთ კოხტათ მოწყობილ ბუდუარებში და ვით ზღაპრული მზეთუნახავნი, ელიან საქრმოთ მეფის შვილთა და გმირ რაინდებს. ფოთის ქალები? ოჰ, ფოთის ქალები ქუთათურ ქალთა ნამდვილი ანტიპოდია! რამდენათ აფერადებულია ქუთ. ბულვარი უცნაურის ქუდებით, გრძელი კაბებით და შრიალა ლაბადებით, იმდენად დაობლებულია ფოთის ბულვარი ამ საამო სამკაულით... ნეტა რა არის ამის მიზეზი? იკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი. მეც ამასვე ვკითხულობ, მაგრამ ვინაა პასუხის მომცემი?! ვაჟებს არ სცალიანთ საპასუხოთ, ბანქოს უნდებიან. მაშ ისევ ვკითხავ ფოთელ ცირებს, როცა ველირსები მათ გაცნობას და მაშინ კი გაუწყებთ ყველას მათის დამალვის საიდუმლო მიზეზს. მანამდე კი ნურას უკაცრავათ, ჩემო მკითხველო!

II

ადგილის სივიწროვემ, სკოლებმა, სახელმწიფო ბეგარამ და სხვა მრავალმა მიზეზებმა და გაჭირვებამ აუდგეს ფეხი გლეხობას დასავლეთ საქართველოში. სად არ ნახავ იმერელს? ქართლი და კახეთი, ტფილისი და ბაქო, შავი ზღვის ნაპირები სულ იმერლის ნაცნობი ადგილებია. იმერელს შეხვდებით შორეულ აღმოსავლეთშიაც კი, ხივა-ბუხარაში, თურქესტანში, ციმბირში, და ასე გაშინჯე, მანჯურიაში. მაგალითად, ხარბინში ერთ იმერელს საკუთარი თეატრიც აქვს, სადაც ხანდახან მართავ ქართულს წარმოდგენებს. გარბიან სოფლიდგან ღატაკი, უმწეო და უპატრონო გურულ-მეგრელი და იმერელი, ჰხდებიან

მებადედ, ფარეშად, მზარეულად, მეპურედ, უბრალო მუშად და, ცოტა ხანს შემდეგ, გაიხედავ, რომ ამ ცარიელ-ტარიელს უშოვია ცოტაოდენი ფული, გაუმართია ბუფეტი, სასტუმრო, დუქანი, აუშენებია სახლები და შექმნილა სოვდაგარი. ბევრი იმერლობა მსახურობს აგრეთვე რკინის გზებზედ. რას ამტკიცებს ყოველი ეს, თუ არა დასავლეთ ქართველის სულის სიფხიზლეს, ნიჭს, უნარს და მხნეობას! ეს მოვლენა ფრიად საგულისხმოა და გვაძლევს დიდს იმედს ჩვენის ერის მომავალზე.

თუ კი იმერელი ასე შორს გარბის, ეჭვი არაა ფოთი და ბათუმი მის ხელში უნდა იყოს. მართლაც ამ ორი პორტის ვაჭრობა უმთავრესად მის ხელშია, თუმც მეტოქებათ ჰყავს უცხოელებიც, მაგალ., ბერძნები და სომხები.

აქ მსურს მივაპყრა მკითხველის ყურადღება ფოთის ქართველ მუშებს. მთლად ფოთში დაახლოვებით 2000-მდე მუშაა, ამათში 600-მდე ქართველია, განსაკუთრებით გურულები და მეგრელები, დანარჩენი სომხები და თათრებია. ამათ უფრო ნაკლები მოთხოვნილება აქვთ, ცოტას ჯერდებიან ხელფასს, იღებენ ყოველგვარ სამუშაოს, არ ერიდებიან ბინძურ საქმეს და ამ გვარად მეტოქობას უწევენ ჩვენებს. ჩვენი მუშები კი უმთავრესად მუშაობენ გემებზე და მცირეოდენიც შავ-ქვაზედ.

მუშების ექსპლუატაცია, მუშის ჩუმი და აშკარა ცარცვა-გლეჯა არაა ახალი მოვლენა. ეს დიდი ხანია, რაც შემოღებულია ყველგან და ამ სამარცხვინო სენს ვერ ასცდენია დღემდე უუგანათლებულესი ერიც კი. ერთის სიტყვით, სადაც კი არსებობს კომერცია და ინდუსტრია, სადაც კი ბატონობს ბურჟუა და კაპიტალი, ყველგან საბრალო მუშის ცარცვა-გლეჯაა, ყველგან მდიდრდებიან მუშის ოფლით და მარჯვენით. ამას ვერ ასცდენია ვერც განათლებული ამერიკა და ვერც ბარბაროსული სპარსეთი. არც კანონი სდევნის სადმე ამ გვარ ცარცვას. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ზოგან მუშას ამუშავებენ დღეში რვა საათს და აძლევენ ორ-სამ მანეთს, (იმას ხარჯიც მეტი აქვს), ზოგან კი 14 საათს და აძლევენ ათ შაურს. ორივე შემთხვევაში მუშის ნაოფლარით დგება მილიონები, მილიარდები და ჩადის ბურჟუას ჯიბეში.

მაგრამ იშვიათად მინახავს ისე სასტიკი მუშის ექსპლოატაცია, რაიცა არსებობს ფოთში. აქ ორგვარათ ატყავებენ მუშას: პირველად თითონ ფირმები, რკინის გზა და მეგემეთა საზოგადოებანი, მეორეთ კი მათი აგენტები და მოიჯარადრენი (პოდრაიჩიკები). შევჩერდეთ ამ უკანასკნელებზედ. აგენტს და მოიჯარადრეს პირი აქვთ შეკრული, ამხანაგები არიან ყველაფერში და იყოფენ შუაზედ მოგებას, (ხშირად აგენტს ორ-სამჯერ მეტი მიაქვს, ვინემ მოიჯარადრეს). აგენტი იღებს, მაგალითად, თვეში ას მანეთს ჯამაგირს, ხარჯავს კი ხუთას მანეთს. რა რიგად ხდება ეს სასწაული? მოიჯარადრემ უნდა აიღოს ათ შაურობით თვეში ასი მანეთი, ხარჯავს 300—400 მან. ნეტა რა რიგათ? ამ საიდუმლოს ახლავე სცნობთ. ავიღოთ მაგალითი: ვთქვათ რომელიმე მეგემეთა საზოგადოება გარიგებულია მისცეს მუშებს ყოველის ათასის ფუთის დატვირთვა-გადმოტვირთვაში რვა მანეთი, აქედან ათი შაური მოიჯარადრესია, რომელიც მეთაურობს მუშებს და უდევს ბეთ ორასი თუმანი. კვირაში ერთხელ მოიჯარადრე მიდის აგენტის კანტორაში და იღებს ფულს ორი—სამი მუშის თანადასწრებით, იტოვებს თავის ათ შაურს ყოველ ათას ფუთზედ, დანარჩენს კი ურიგებს მუშებს. ამ რიგათ მას ხვდა იმ კვირაში მხოლოდ 20—25 მან. ეს თურმე სულ ფოკუსია. ნამდვილად სულ სხვა სურათია: იმას და აგენტს წინ და წინ შეუდგენიათ ორი ანგარიში, ერთი მართალი, მეორე კი ტყუილი, სადაც ნაკლები ფუთებია ჩაწერილი მუშის თვალის ასახვევათ, ვინაა კანტროლი?! მოიჯარადრე ჯერ იღებს ფულს ამ ტყუილ ანგარიშით, მერე კი მიდის ჩუმათ კანტორაში, იმ ანგარიშს ხევენ ისა და აგენტი ნამდვილ ანგარიშზედ კი აწერს ხელს. ზედმეტი ფული, რომელიც ხვდება ამ ანგარიშით, იყოფა ხან შუაზედ და ხან ორ-სამ წილს იღებს აგენტი და დანარჩენს მოიჯარადრე,—ეს იმათ გარიგებაზედაა დამოკიდებული. ამ რიგათ თვიურათ აგენტის ჯიბეში ჩადის 400—500 მ. და მოიჯარადისაში კი 200—300 მან. მუშამ აბა რა იცის ესა. მაგრამ ამით არ თავდება ამ ვაჟბატონების ოინები. ესენი არა იშვიათად განგებ კარგვენ რომელსამე ძვირ-ფასს საქონელს და მერე უქვითავენ მუშებს მისაცემ ქირიდან. ეს ოინები უფრო ხშირია რკინის გზაზედ. არა იშვიათად აგენტი და მოიჯარადრე იწვევენ ხოლმე მუშების ხელოვნურ გაფიცვას და აჯანყებას, რათა მოამატებინონ ფირმებს მუშის ქირა, ნამდვილათ კი ეს მომეტებული ფული ჩადის სულ მათ ჯიბეში, თვით მუშები კი ვარდებიან პოლიცია-ჟანდარმების ხელში და ამ რიგად ხდებიან თავიანთ უმეცრების და აგენტ-მოიჯარადრის ანგარების მსხვერპლნი.

მე მომეცა შემთხვევა გავცნობოდი ფოთის მუშათა ვითარებას და აგენტ-მოიჯარადრეთა ოინებს. აღმოჩნდა, რომ ეს ვაჟბატონები ყოველ წლობით აცლიან მუშებს სხვა და სხვა ხრიკებით ასი ათას მანეთზედ მეტს. აბა, ვინ აქცევს ამას ყურადღებას?! ვინ იცავს საბრალო მუშას ამ ცარცვა-გლეჯისაგან?! ვინ? ჩვენი ინტელიგენცია, პრესსა, თუ გრძელ თმიანი ახალი მოაზრენი, რომელნიც ბევრს ჰყვირიან, მაგრამ საქმით კი ვერაფერს ჰშველიან მუშებს?! არავინ. ჩვენი მუშები უმწეოთ და უპატრონოთ დარჩენილი, არიან პატრონი და ქომაგი არავინა ჰყავს. ეს მუშები ცხოვრობენ საძაგელ ბინაზე, საზრდოობენ ცუდათ, სნეულდებიან, მაგრამ არავინ ფიქრობს მათ ჯან-მრთელობისა და ნივთიერ განკარგებისთვის. მხოლოთ ამ ხუთი თვის წინათ თვით მუშები შეუდგენ თავიანთ თავის პატრონობას და დაიარსეს არტელი, რომლის წესდება დაამტკიცა გუბერნატორმა. არტელის მეთაური (მუშების მიერ მოწვეული) მხნედ შეუდგა საქმეს; მოიპოვა არტელის თანხათ სესხათ ხუთასი თუმანი, დააარსა კანტორა, შეაერთა სამასი მუშა და შეუდგა მათთვის საქმის მოპოვებას. მისი სურვილი იყო ჯერხანათ ყველა ქართველი მუშების შეერთება, მცარცველობის მოსპობა და მით მუშათა ნივთიერ-სულიერ მდგომიარეობის გაუმჯობესობა. მაგრამ ამ კეთილ მისწრაფებას წინ გადაეღობა მუშათა უმეცრება, ფოთის ზოგიერთ ტუზების და ყველა ფირმების წინააღმდეგობა, გრძელთმიანების ჩუმი ქადაგება და მეტადრე აგენტთა და მოიჯარადრეთა შეერთებული საზიზღარი ინტრიგები, ე. ი. დანოსი, მოსყიდვა, მუქარა და სხვა სამარცხვინო საქციელი. ფულების დახარჯვით იმათ ხელში დაიკავეს გავლენიანი კაცები და მით მოუსწრაფეს დღე ახალ არტელს. იმათვე დაითხოვეს თავიანთ საქმეებიდან არტელის მუშები და ჩაჰყარეს იმ გვარ პირობაში, რომ კინაღამ შიმშილით დაიხოცენ. უნაყოფოდ ჩაიარა არტელის მეთაურის მოქმედებამ მუშათა სასარგებლოდ. მას შეუკრეს ხელ-ფეხი, დაუდუმეს ენა. მოპირდაპირენი გრძნობდენ, რომ ლუკმა ეცლებოდათ ხელიდან, რომ ეკვეცებოდა ფრთები მათ ცარცვა-გლეჯას, ამიტომ არ დაერიდნენ არავითარ ხრიკს, ოღონდ კი დაეფუშათ ეს არტელი. სურვილს მიაღწიეს უმთავრესად დანოსის და ქრთამების საშუალებით. ყვითელი ოქრო კი, მეტადრე ჩვენს წამხდარ დროში, იმ გვარი ძალაა, რომლის წინააღმდეგ ქრება თვით გამბეტას ენამზეობა და დუნდება თვით მორგანის გამჭრიახობა!... თვე ნახევრის წვალების და ბრძოლის შემდეგ არტელის მეთაური იძულებული გახდა შეეჩერებინა საქმე მარჯვე დრომდე, რადგან არავინ მისცა სამუშაო; არც რკინის გზამ და არც სხვა ფირმებმა. კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ბოროტმა ძალამ... გაიმირჯვა ფულმა და ინტრიგამ... მუშები კვლავ ჩავარდნენ მათ კლანჭებში, მათ ცარცვა ყვლეფაში...

ხმ.

რუსეთი

—

პოლიცმეისტერის მოქმედებით შეურაცხყოფა. 28 ნოემბერს ქალაქ ტვერის საზოგადო საკრებულოს შესავალ კარებთან ადგილობრივ პოლიცმეისტერს ბ-ნს კირეევსკის სახეში გაარტყა ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტად ყოფილმა ბ. ასეთი საქციელი შემდეგს გარემოებას გამოუწვევია: სტუდენტი ბ. ამ რამდენიმე წლის წინად პეტერბურგიდგან ადგილობრივ ადმინისტრაციას გაუგზავნია ქალ. ტვერში დედ-მამასთან საცხოვრებლად და იმავე დროს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაც ყოფილა. ამას შემდეგ ბ-ნს არა ერთხელ მიუმართავს ტვერის პოლიცმეისტრისათვის, რომ კეთილ-საიმედო ადამიანის მოწმობა მიეცათ მისთვის, მაგრამ თხოვნა, რაღაც მიზეზისა გამო, ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა და სისრულეში არავის მოჰყავდა. ამ გვარად, როგორც არა საიმედო პირს, სტუდენტს ბ-ს არც ერთს საზოგადო თუ კერძო დაწესებულებაში არ ღებულობდნენ და რაიმე ადგილის მიცემაზე ყველანი ცივს უარს ეუბნებოდნენ. მოთმინებიდგან გამოსულმა ბ—მ სხვა ვერაფერი იღონა და ჯავრი პოლიცმეისტერზე იყარა (რუს. ვედ.).

— სტუდენტები და პოლიცია. გასულ ნოემბრის უკანასკნელს რიცხვებში პეტერბურგის უნივერსიტეტის საქტო დარბაზში თავი მოიყარა თითქმის 2 ათასმა სტუდენტმა. დარბაზიდგან გამოსვლის შემდეგ სტუდენტები გაემართნენ დვორცოვი ხიდისაკენ, და ადმირალტეისტვოსთან რომ მიაღწიეს, აქ ერთბაშად წინ გადაეღობნენ მათ შეიარაღებული პოლიციელები და უდიერად უბრძანეს დაშლა და უკანვე დაბრუნება. როგორც ამ შემთხვევის მნახველი კორესპონდენტი ამტკიცებს, სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, წესიერებას სრულიადაც არ არღვევდნენ და ჩვეულებრივ არ ისმოდა მათ შორის რაიმე საწინააღმდეგო სიმღერა. პრისტავის ბრძანებასთან ერთად ცხენოსან ჟანდარმთა ესკადრონი შეიჭრა სტუდენტებში და უწყალოდ დაუწყო ცემა-ტყეპა ვისაც კი მისწვდენ. დაფეთებული სტუდენტები აქეთ-იქით ეცნენ და ზოგი მათგანი ხიდიდგან ძირს ნავებშიაც კი ვარდებოდა, რომ როგორმე თავი დაეღწია და გაჰქცეოდა ამ უსამართლო ცემა-ტყეპას. ბევრმა სტუდენტმა მიჰმართა პრისტავებს გაგვაგებინეთ რას ნიშნავს თქვენი ასეთი მოქმედებაო, მაგრამ «უცნაურ გამკითხველთა» პასუხის ღირსი არც ერთი მათგანი არ ხდებოდა და ამის ნაცვლად მათრახებით აჯილდოვებდნენ. (რუს.).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«პრავო» სცდილობს თავი-თავს მოუყაროს რუსეთის ცხოვრების უკანასკნელს ამბებს და იმ აზრისაა, რომ საჭიროა ყოველ ამის შემდეგ გამოვიდეს რამ არსებითიო, დარჩეს რამ ძირსაო.

ჩვენ ვამტკიცებთო,—ამბობს ჟურნალი,—რომ ამიერიდგან ყოველივე მერყეობა უნდა გაჰქრეს და ადგილი დაუთმოს ცხადს, გარკვეულს შეგნებას. იმ შვენიერის სიტყვების პასუხად, რომელიც სთქვა დღევანდელმა ხელმძღვანელმა რუსეთის შინაგან საქმეთა პოლიტიკისამ, როცა ნდობით მიჰმართა საზოგადოებას, სრული ნდობავე გამოითქვა. ქვეყანა მიჰხვდა, რა დროც დადგა რუსეთისათვის და გულახდილობით აშკარად აღიარა თვისი ღრმა რწმენა იმისი, რაც მიაჩნია ერთად ერთ ხსნად, ერთად-ერთ გზად იმ ბნელ და შეხუთულ ჭაერით მოწამლულ ქუჩა-ბანდიდან გამოსასვლელად, რომელშიაც, საყოველთაო აზრით, გავჩერებულვართ. საზოგადოებამ და ქვეყანამ თავისი საქმე გააკეთა; ახლა რიგი მთავრობაზეა მიმდგარი. ახლა ბედი ნდობისა იმაზეა დამოკიდებული, გაჩნდება თუ არა გაბედულობა, რათა განხორციელდეს ჩვენს ცხოვრებაში ქვეყნის გამოთქმული სურვილი. უამისოდ ისევ მოუთავსებლობა დაიწყება, მოუთავსებლობა მით უფრო მძიმე და მკვეთრი, რომ ახლა ადგილი აღარა აქვს ჭვარათობასა და გამოურკვევლობას.

* * *

გაზ. «გრაჟდანინში» ვინმე ბ-ნი კ. ერთმანერთს ადარებს რუსეთსა და იაპონიას. იაპონია ეხლა გაერთიანებულია, მკვიდრად შეკავშირებული და მთელი ქვეყანა, როგორც ერთი არსება, როგორც ერთის აგებულების პატრონი, ისეა გამსჭვალული ერთის აზრით, ერთის ზოგადის იდეით. ჩვენში-ღაო?

...ჩვენში ყოველივე გამოაშკარავდა. განშიშვლდა. პირი ჰქმნა ყოველმა იარამ სამხედრომ, სარკინიგზომ, საზღვაომ, საინტენდანტომ, ყოველმავე ორგანიზაციამ, რომელიც კი პირის-პირ დაუყენეთ მტრის ორგანიზაციას. გამოაშკარავდა და განშიშვლდა დღევანდელის ომის პსიხოლოგიაც: გულ-გრილობა, თანაუგრძნობლობა ამ ომისადმი, მოუმზადებლობა მის წარმოებისათვის. გამოაშკარავდა და განშიშვლდა ბოლოს უფსკრული ჩვენის საზოგადოებრივის მოუწყობლობისა და მის პირ-დაღებულ შავ-ბნელით მოცულს ნაპრალში თავს იყრებავს და ბობოქრობს სულის შემხუთველი ჭაერ-გვარი. სამეფო ქალაქის მკვიდრნი ყოველ წუთს აფეთქების მოლოდინში არიან. რაღას უნდა ელოდნენ იაპონელნი? შავ-ბედითმა ძალმა ზედ მოგვყარა საშიში დრუბელი და სულ ჩამოინელა გარშემო. სიბნელეში ვეღარ ვარჩევთ ერთმანერთს, თავ პირს ვამტვრევთ ჩვენებსავე, გვშველით და ვახარებთ მტერს. ბოროტმა ბედმა გული იჯერა იმათის დაცინვით და მასხარად აგდებით, ვისაც სწამდა შეუმუსვრელი სული რუსეთის სულის საიდუმლოსი, მისის ძალ-ღონისა. გარემოებამ ყველანი დაგვგრიხა წვნელივით, დაგვანაწილა სათითაოდ და ნაფოტებივით აქეთ-იქით გადაგვისროლა. გულსა და სულში აღარა მოგვეძებება-რა «ჩვენი საკუთარი». გავშლურდით და გავწბილდით. იმასაც კი ვიტყვი, რომ გავირყვენით, გავმეძავდით. მტერმა კი თან და თან უფრო უმატა დაყურსებას, გულ-ჩათხრობას და დიდი, უხრწნელი საიდუმლო მისის ძალ-ღონისა მჭრელის პირით ჩვენკენაა მოქცეული..,

თეატრი და ხელოვნება

—

ბენეფისი ვ. გუნიასი. ბ-ნმა ვ. გუნიამ თავის საბენეფისოდ ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, აირჩია ორი ახალი პიესა, ერთი თავისი სცენები «ნაოხარზედ» ანუ «ჩვენებური კენჭობანა», მეორე „ახირებული შემთხვევა", ფანგულიდან ნათარგმნი კომედია ორ მოქმედებად.

«ნაოხარზედ» თითქმის პირველი ორიგინალური პიესაა, რომელიც ჩვენებურ ინტელიგენციის ცხოვრებას ეხება; შინაარსი პიესის ავტორს ამ ცხოვრებიდგან აუღია და შემდეგს გვიამბობს: მიხეილ კარმალიძე (ვ. გუნია) საზოგადო მოღვაწეა, დამარცხებული გამოდის ბრძოლიდან, არჩევნების დროს გააშავებენ; ამიტომ შორდება საზოგადო ასპარეზს და სახლდება სოფელში, მაგრამ აქაც ვერ ჰპოვებს ბედნიერებას: მეუღლე მისი ნატალია (ნ. ჩხეიძე) თანაუგრძნობს მდიდარსა და განათლებულს მემამულეს პეტრე სერბელიანს (კ. მესხი) და ასე ცხოვრებაში ყველგან დამარცხებული, ცხოვრებიდგან გარიყული, მიხეილი იკლავს თავს და უთმობს ალაგს პეტრეს და ნატალიას, რომელნიც ამ რიგად თავის ბედნიერებას სხვის «ნაოხარზედ» აფუძნებენ.

ავტორს სულაც არ სურდა გამოერკვია და, თუ სურდა, ძლიერ სუსტად გამოარკვია ის მიზეზები, რომელიც უშლის ხელს ჩვენებურ ინტელიგენციას მიიღოს ნაყოფიერი მონაწილეობა ჩვენის ხალხის ცხოვრებაში.

უამისოდ კი პიესა „ნაოხარზედ" საზოგადო მნიშვნელობას ჰკარგავს და იმ ნაწარმოებად იქცევა, რომელსაც აზრადა აქვს სრულებით კერძო და საზოგადო ინტერესს მოკლებული ამბავი შეატყობინოს საზოგადოებას.

პიესაში დასურათებულია სხვა და სხვა ჯურის ხალხი, სხვა და სხვა წრის წარმომადგენლები, რომელნიც გაცხარებულ მონაწილეობას იღებენ «კენჭობანაში», ნახსენებია მარქსისტები, კაპიტალი, რევოლიუცია, ევოლიუცია, ქალთა საქმე და სხვა, მაგრამ ყველა ამას დაშორებული კავშირი აქვს პიესის დედა-აზრთან, რომელსაც ავტორი პეტრეს პირით გვეუბნება. აი ეს აზრიც: ჩვენ, ქართველებს, გვაკლია ეგრედ წოდებული ცხოვრების ნიჭი და ის, ვისაც ეს ნიჭი არა აქვს, ცხოვრებაში ყოველთვის დამარცხებლი რჩებაო.

პიესა კარგად იყო ნათამაშევი და თითქმის სრულის ანსამბლით ჩაიარა, თუმცა პიესაში მრავალი მომქმედია.

თვით მობენეფისე თამაშობდა მიხეილის როლს და კარგადაც ჩაატარა, მეტადრე მესამე მოქმედება, რომელიც უფრო ძლიერია პიესაში.

«ახირებული შემთხვევა» მართლა მხიარული კომედია გამოდგა, ბევრიც აცინა საზოგადოება, მაგრამ ეს სიმხიარულე ცოტა საეჭვო თვისებისაა, რადგანაც გამოწვეულია იმდენად თვით პიესის ხელოვნურ კვანძისაგან კი არა, რამდენად ორ-აზროვან ფრაზებისა და წინადადებათაგან, რომელიც უხვადაა გაბნეული ამ კომედიაში, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ვოდევილში.

წერილი

რედაქციის მიმართ.

ჩვენის ქვეყნის სასიქადულო მგოსნის ავადმყოფობამ აქაური შეგნებული ქართველობა ძლიერ შეაწუხა. ვევედრებით უზენაესს, რომ ჩვენს გამჭრიახსა და მარად ჭეშმარიტების მხილებელ აკაკის მალე დაუბრუნოს წინანდებური ჯან-მრთელობა. ამასთანავე გიგზავნით ჩვენს წვლილს ავადმყოფ მგოსნის სასარგებლოდ დაარსებულ „ფონდის" გასაძლიერებლად და გთხოვთ გარდასცეთ დანიშნულებისამებრ—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. აქვე გთხოვთ გამოაცხადოთ ამ წვლილის მომწოდებელთა ვინაობაც: ლ. ო. გრიგორაშვილმა, დ. ე. ართმელაძემ, ს. ზ. წერეთელმა და მე ჩემის მხრით ხუთ-ხუთი მანეთი; ქ-ნთ ნ. ლ. გუგუშვილისამ, ა. ს. ჩიქოვანისამ, ბ-ნმა ი. ზ. ბილანიშვილმა და დ. ე. ქ—ძემ სამ-სამი მანეთი, და ქ-ნმა ვ. დ. ვალიავსკისამ—ერთი მანეთი. სულ ყველასაგან — ოცდა-ცამეტი (33 მან.).

ტ. ართმელაძე.

„ივერიის" ფოსტა

—

ქ—სი ჯ—ლს. თქვენი ორი ლექსი არ დაიბეჭდება.

იალონს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

8 დეკემბერი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე 6 დეკემბრის თარიღით: „ჩვენს მარჯვენა ფრთისაკენ მოხალისეებმა 1 დეკემბერს დაზვერეს ჰალა; აქ იმათ იაპონელები დახვდნენ თოფის სროლითა. იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ ორის დაჭრილითა. ერთი მათგანი მძიმედ იყო დაჭრილი, იგი ზურგით გამოიტანეს, თუმცა მტერი ესროდა. 3 დეკემბერს კიდევ დაზვერეს იგივე ჰალა, გამოდევნეს მტერი და იმათი თხრილები დაიჭირეს. ღამე 4 დეკემბერს, მიუახლოვდნენ მტერს 150 ნაბიჯზე, სამხრეთ-აღმოსავლეთად ჰალიდგან, ადგილი მტერს დაჭერილი არა ჰქონდა; იქ მოხალისეებმა წერილი იპოვეს, რუსულად დაწერილი, რომელშიაც ურჩევენ ჩვენს ჯარის კაცებსა, ტყვედ დანებდით იაპონელებსაო. ღამე 6 დეკემბერს მოხალისეებმა გამოდევნეს იაპონელნი თხრილებიდგან შახეს ხიდთან, თხრილები პიროქსილინით დაანგრიეს. ამ დროს ჩვენ 6 ჯარის კაცი დაგვიჭრეს. ამ საქმისათვის ჩვენ სამს დღეს ვემზადებოდით, რომ იაპონელნი ხიდზე არ გამოგვეშვა. ეს საქმე შეასრულა კაპიტანმა ტერ-აკოფოვმა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».—დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრეს შტაბს 7 დეკემბრის თარიღით: «დღეს ბრძოლის შესახებ ამბავი არ მოგვსვლია. დღისით ყინვა 9 გრადუსამდე იყო ქარის დროს.

ლონდონი. ნოგის ლაშქართან მყოფი „რეიტერის სააგ." კორესპონდენტი იუწყება, რომ კიკვანშანის მეციხოვნეებმა იაპონელთა პირველი იერიში მოიგერეს. რუსებმა მიწაში გაყვანილ დერეფნით მიაშველეს თავისებს 300 კაცი. 10 საათის განმავლობაში საშინელი ბრძოლა იყო ფორტის აღების გამო, იბრძოდნენ ხიშტებით და ისროდნენ ხელით ყუმბარებსა, შუაღამისას საერთო იერიში მიიტანეს და აიღეს ფორტი. მხოლოდ 20 რუსი გადარჩა, წამოსვლისას ოთხი ნაღმი ააფეთქეს, ამან გალერეია დაანგრია და იაპონელნი ველარ გამოეკიდნენ. იაპონელებს დარჩათ 4 საბარო ზარბაზანი და 3 ტყვიის მფრქვეველი.

ნაგასაკი. (რეიტერი). გემი ,,ნეგრეცია'' სასებოს მოვიდა: იმას ვლადივოსტოკს ნავთი მიჰქონდა გემს. მეზღვაურნი შანჰაიდან არ მიდიოდნენ, მაგრამ ინგლისის კონსულმა აიძულა ისინი წასასვლელად, რადგანაც ტვირთი კონტრაბანდს არ შეადგენსო და რადგანაც ვლადივოსტოკს ალყა არ აკრავსო.

პეტერბურგი. ნეგუს მენელიკმა 100 ათასი ფრანკი შესწირა შორეულ აღმოსა-

ვლეთში ავადმყოფ და დაჭრილ ჯარის-კაცთა სასარგებლოდ.

9 დეკემბერი

ტოკიო. (რეიტ.). ჯერ დარწმუნებით არ იციან, გემ „ნეგრეციაზე“ არიან თუ არა რუსის აფიცრები. ამის გამო იაპონელნი დაწვრილებით გამოძიებას შეუდგნენ, რადგან იმ საკითხს, შეუძლიან თუ არა ჩინეთმა შეასრულოს თავის თავზე ნაკისრი ვალდებულება, ყური უგდოს ჩინეთის მიწა-წყალზე დაკავებულს რუსის აფიცრებს, დიდი მნიშვნელობა აქვს. პორტ არტურში ტყვე რუსები 21 ნოემბრიდან იუწყებიან, რომ ლეიტენანტი გრაფი ბენკენდორფი,—შვილი რუსის ელჩისა ლონდონში, კარგად არისო.

ნეიროვი. კნეინა შერბატოვისამ თავის მამულში რკინის გზის ახლო გამართა საავადმყოფო დაჭრილთათვის 20 საწოლით.

საღამოს დეპეშები

9 დეკემბერი.

პეტერბურგი. 3 დეკემბერს ჩერნიგოვის საგუბერნიო საერობო კრების თავმჯდომარემ, თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გაუგზავნა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას დეპეშით შუამდგომლობა ზემოხსენებულის კრებისა ისეთ ცვლილებათა შემოსაღებად, რომელსაც საზოგადო სახელმწიფო ხასიათი აქვს. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დააწერა ამ დეპეშას საკუთარის ხელით:

«ჩერნიგოვის საგუბერნიო საერობო კრების თავმჯდომარის საქციელი მიმაჩნია კადნიერებად და თავხედობად უხამს საქციელად. საერობო კრებათა საქმე არ არის სახელმწიფო მმართველობის საგნების განხილვაში შევინდენ. იმათის მოქმედებისა და უფლებათა საზღვარი ცხადად არის აღნიშნული და გარკვეული კანონებში».

ლონდონი, 8 დეკემბ. (რეიტერი). რუსეთის არტილერიამ დაუწყო სროლა ზარბაზნების 7 დეკემბერს სინტუნის მიდამოებს. დილის 4 საათზედ რუსეთის ქვეითა ჯარებმა შეუტიეს ჩინშანტუნს, ხეილინდუნს და ხუანდის. რუსნი უკუქცეულ იქმნენ. იაპონელთა ზარალი ჩრდილო კიკვანშანის აღების დროს 400 კაცამდე იქმნებოდაო.

ლონდონი. 3 დეკ. პორტ-არტურთან დაბანაკებულ ჯართან მყოფი რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ამბობს, რომ იაპონელთათვის მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთის კიკვანშანის ფორტის აღებას, რადგან გზა გაეხსნათ ხეობისაკენ, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთის კიკვანშანსა და აღებულ ფორტების შუა, ჩრდილოეთის ფორტის დაჭერით გაადვილდა აღმოსავლეთის კიკვანშანის აღება. მოწინავე შვიდი ფორტიდან იაპონელებმა ხუთი დაიჭირეს.

ლონდონი. 9 დეკ. (რეიტ. სააგ.) „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იუწყება 8 დეკემბერს, რომ რუსების ყუმბარამ ააფეთქა 203 მეტრიან გორაზე იაპონელების ყუმბარების საწყობი, იაპონელებს დაეჭრათ დიდძალი ჯარის-კაცი.

ჩიფუ. 8 დეკ. (რეიტ. სააგ.) ოთხი დღის წინად პორტ-არტურში შეიპარა კორიანტელის დროს ინგლისის გემი „ლედი მიტჩელ“. გემი დაცურავდა ინგლისის ბაირაღით. ეკიპაჟი ნორვეგიელებისაგანაა შემდგარი და გამოვიდა ცზინდაოდან. თან მიჰქონდა სამხედრო მასალა და დინამიტი.

ხმა დადის, რომ იაპონელებმა დაიხიეს ცზუშანიდან. რადგან მეზობელ ფორტებიდან ყუმბარები დაუშინეს რუსებმა. ამბობენ, ნოგიმ 60,000 მაშველი ჯარი მოითხოვაო. ნოგის მოუვიდა ჯარი ჩრდილოეთიდან და რამდენიმე ათასი კორეველებისა.

შანჰაი, 8 დეკ. (რეიტ.). პეკინიდგან იაპონიის ელჩის წასვლა ტოკიოში, როგორც ამბობენ, იმას ნიშნავს, რომ ჩინეთმა და იაპონიამ ერთმანეთთან დასაახლოვებლად და კავშირის დასამტკიცებლად, ახალი ხელ-შეკრულება დასდეს.

პეტერბურგი. გენ.-ად. კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 8 დეკ. გამოგზავნილი: «ჩინელები იტყობინებიან, რომ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარმა უკანვე დაიბრუნეს 203 მეტრიანი გორა და იქ მდგარი ზარბაზნებიო.

წუხელის იაპონელთა თავგამოდებულებმა, 40 კაცმა ჩვენს მოწინავე რაზმზედ იერიშის მიტანა სცადა. იაპონელთა განზრახვაც ჩვენმა დარაჯებმა წინ და წინვე შეიტყეს და მტერს თოფის სროლით დაუხვდნენ. იაპონელებმა უკან დაიხიეს. ჩვენს მარჯვენა ფრთაზედ 6 დეკ. ღამით ჩვენი თავგამოდებულნი შეუმჩნევლად იაპონელთა თხრილებთან მიცოცდნენ და მტერს ორი პიროქსელინის ყუმბარა ესროლეს. იაპონელებმა თხრილებს თავი მიანებეს, სოფელ ტინძიანტუნს მიეფარნენ და იქიდგან ჩვენებს თოფის სროლა დაუწყეს. ჩვენები სოფელს მიეპარნენ და იაპონელებს ხელმეორედ ორი ყუმბარა ესროლეს. იაპონელებმა ამის შემდეგ თოფის სროლა შესწყვიტეს დღეს მზიანი დღე იყო. პატარა ქარი ჰქროდა და 8° ყინვა იყო. ზემოხსენებულს თქვენს უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

7 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,50
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	89½ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	425 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	318 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	266½ წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	90½ წ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	87⅛ წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა, ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაწაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.
2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распрстр. грамотности.

იბეჭდება და საშობაოდ დაურიგდებათ მეორე პრემიათ „ივერიის“ „აღდგომა“ (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის! 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა
ლალატი,
თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეძვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული
ქართული რუკა
თითო ცალი 10 კაპ.
ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

პირველად ქართულს ენაზე
ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულის და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყობი ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 Г.
на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету
„БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ“
(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).
ВЪ ГАЗЕТѢ ОБѢЩАЛИ УЧАСТІЕ:

С. Ф. А-фъ, Н. П. Ашешовъ, Е. З. Барановъ, П. А. Берлинъ, В. Богучарскій (В. Я. Яковлевъ) Mr. Broun, Б. К. Бухъ, Х. С. Варданянъ, П. А. Васильевъ, Д. Ведребисели, (Д. К. Маліева), Ю. А. Веселовскій, В. С. Вейншалъ, К. Воиновъ, Вѣди-Азъ, Горичъ, М. М. Гутманъ, В. А. Евангулова, В. И. Ивинскій, (Б. Борскій), А. С. Изгоевъ, М. В. Кечеджи-Шаповаловъ, Н. П. Козеренко, А. Н. Котельниковъ, М. Меликъ-Шахназаровъ, Мечтатель (Θ. Θ. Трозинеръ), А. И. Новиковъ, Н. А. Падаринъ, А. Б. Петрищевъ, Конст. М. Пономаревъ, Н. *С.* *С*еменовъ, С. С. Семеновъ, Орестъ Семинъ, А. *С.* *С*кляръ, М. А. Славинсій, М. Ф. *С*лавинская, д-ръ Л. *С*околовскій, Ю. *С*твкловъ, В. Θ. Тотомянцъ, А. Ю. Финнъ, Б. І. Харитонъ, Г. И. Шрейдеръ, И. И. Шрейдеръ, Эненъ, Эхо и др.

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Для городскихъ подписчиковъ	Для Чер. гор., Баилова, Балахан. и иногород. подписчиковъ
На годъ	7 р. — к.	8 р. 50 к.
На 6 мѣсяцевъ	4 „ — „	5 „ — „
На 3 мѣсяца	2 „ 50 „	3 „ — „
На 1 мѣсяцъ	1 „ — „	1 „ 50 „

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

	Для городск.	Для иногород.
При подпискѣ	3 р.	3 р. 50 к.
Къ 1 апрѣля	2 „	3 „ — „
Къ 1 іюля	2 „	2 „ — „

Годовые подписчики на 1905 г., внесшіе при подпискѣ полностью всю подписную сумму, получаютъ въ 1904 г. газету, со дня подписки БЕЗПЛАТНО.

(3—3—2). Редакторъ-издатель *Н. А. Гриневъ.*

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 декабря, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи